



კორონავირუსის პანდემია და მისი ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

ავტორები: მიხეილ უკლება და ზაალ მარგველაშვილი, დიპლომატიური
ინსტიტუტის მკვლევარები

შესავალი

2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ქალაქ უჰანში აღმოცენებულმა ახალმა კორონავირუსმა და მისი გლობალური გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ მომდევნო თვეებში მნიშვნელოვანწილად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგი და ამ პანდემიასთან ბრძოლა გახდა მთელი მსოფლიოს და მათ შორის წამყვანი სახელმწიფოების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი. სხვა ფაქტორებთან ერთად ეს განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ახალი კორონავირუსი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებაა, ადვილად ვრცელდება და ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა მოწყვლად ჯგუფებს, როგორცაა ხანდაზმული მოსახლეობა და პირები, რომლებსაც აქვთ თანამდევი მძიმე, ქრონიკული დაავადებები. ამასთან, დაზღვეული ამ დაავადებისაგან და მისი მძიმე შედეგებისგან არც ერთი ჯგუფი არაა. აღსანიშნავია, რომ ჯერ არ არსებობს ახალი კორონავირუსის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საშუალება და მეცნიერებს სჭირდებათ გარკვეული დრო მის შესაქმნელად.

კორონავირუსის პანდემია არ ცნობს საზღვრებს და ვრცელდება სამყაროს თითქმის ყველა ნაწილში. მის მნიშვნელობას და გავლენას ადასტურებენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ გაკეთებული კვლევები, შეფასებები და მიღებული ზომები. საფრთხის შემცველია აგრეთვე ის ფაქტი, რომ უკვე ადგილი აქვს ამ ვირუსით განმეორებით დაავადების ფაქტებს და შესაძლოა გავრცელდეს კორონავირუსის პანდემიის მეორე ტალღა.

კორონავირუსის პანდემიას, მიუხედავად მისი გლობალური გავრცელებისა, ჯერჯერობით არ გამოუწვევია რაიმე შესამჩნევი გეოპოლიტიკური ცვლილებები, თუმცა მკვეთრად გაამძაფრა არსებული საერთაშორისო ურთიერთობები და მათ ახალი დინამიკა შესძინა. მან ასევე მოიტანა მრავალრიცხოვანი ადამიანური მსხვერპლი და მთელ სამყაროს უბიძგა, რომ მისი დამღვეისაკენ მიემართა მნიშვნელოვანი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები. კორონავირუსის პანდემიამ ასევე მოითხოვა საზოგადოების უპრეცედენტო მობილიზაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან შეზღუდვების დაწესება და უფრო აქტიური ურთიერთქმედება სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის.

კორონავირუსის პარალელურად დღის წესრიგში რჩება სხვა საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც დამოუკიდებლად ან კორონავირუსის პანდემიასთან ერთად, დიდ საფრთხეს უქმნიან კაცობრიობას. ასეთი საფრთხეები და გამოწვევებია: კლიმატის ცვლილებები, ბუნებრივი კატაკლიზმები, ტერორიზმი და ექსტრემიზმი, არათანაბარი ეკონომიკური განვითარება, სიღარიბე, ომები და კონფლიქტები, უკონტროლო მიგრაცია, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, კიბერსაფრთხეები, მათ შორის თავდასხმები კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე და არამეგობრული ხელოვნური ინტელექტი.

კორონავირუსის ეპიდემია გარკვეულად წარმოადგენს ასევე გლობალური და რეგიონული სისტემების ტესტირების საშუალებას. მისი გავრცელების პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით ხორციელდება კომპლექსური შემზღუდველი, საპროფილაქტიკო და სამკურნალო ღონისძიებები, მთელი ქვეყნების კარანტინის რეჟიმში გადაყვანის ჩათვლით. ეს კი იწვევს ეკონომიკური აქტივობისა და გადაადგილების შემცირებას და ზოგ შემთხვევებში შეწყვეტასაც კი, რაც კიდევ უფრო ართულებს პანდემიასთან ბრძოლისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის დღევანდელი დონის პირობებში, ზემოხსენებულ გამოწვევებს დამოუკიდებლად ვერც ერთი სახელმწიფო და ინსტიტუტი ვერ გაუმკლავდება და არსებული სიტუაცია მოითხოვს მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობასა და სოლიდარობას. მსოფლიომ ერთობლივი ძალისხმევით უნდა ებრძოდოს ამ გამოწვევებს, რისთვისაც მეტად უნდა გაიზარდოს როგორც სახელმწიფოთა თანამშრომლობა, ისე საერთაშორისო სტრუქტურების აქტივობა.

ასევე უნდა გაერთიანდეს სახელმწიფოებისა და კორპორაციების ძალისხმევა, რისი კარგი მაგალითიცაა კორპორაციებს - „GOOGLE“-სა და „APPLE“-ს შორის მიღწეული შეთანხმება, კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიასთან საერთო ძალისხმევით ბრძოლის საქმეში, რისთვისაც კორონავირუსით ინფიცირებული პირების

იდენტიფიცირებისა და გამოვლენის საქმეში გამოყენებული იქნება კონტროლის ერთიანი სისტემა.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები განუწყვეტლივ მუშაობენ ამ პრობლემის გადაწყვეტაზე, სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელების გამოყენებით. მთელი რიგი წამყვანი სახელმწიფოებისა და საექსპერტო წრეების წარმომდგენლების განცხადებებით: „კორონავირუსი არსად წასვლას არ აპირებს და კაცობრიობამ უნდა ისწავლოს ცხოვრება მისი არსებობის პირობებში“.

პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ანალიზის გაკეთებისას ნათელი ხდება, რომ ამ კომპლექსური გამოწვევის გადაწყვეტა ძირითადად შესაძლებელია მხოლოდ მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის გამოყენებით, რაც შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი როგორც ავტორიტარიზმის ელემენტებით (რისი მაგალითებიცაა ჩინეთი და სინგაპური), ასევე დემოკრატიული სისტემების გამოყენებით. ამასთან, ეს უკანასკნელი ემყარება მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის მაღალ ხარისხს და გამჭვირვალობას, რის მაგალითადაც შეიძლება მოვიყვანოთ ცალკეული ევროპული ქვეყნები, რომლებმაც უკვე გაიარეს კორონავირუსის გავრცელების პიკი.¹

დემოკრატიული მმართველობისა და სამართლიანი სოციალური მოწყობის ერთ-ერთი წარმატებული მოდელია „სკანდინავიური მოდელი“ (მაგ. შვედეთი, დანია), რომლის ელემენტებიც შეიძლება იყოს გამოყენებული საერთაშორისო დონეზეც. სკანდინავიური მოდელის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ემყარება კანონიერების დაცვის განუხრელად შესრულების პრინციპს და ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს. უდავოა, რომ სკანდინავიური მოდელი შედგება ფაქტორების მრავალფეროვნებისგან, სადაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების ხარისხი, ხოლო საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთქმედება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს.

როგორც ცხადყოფს ამ დროისთვის მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება, კორონავირუსის პანდემიასთან ეფექტიანი ბრძოლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეულ ქვეყანაში ეფექტიანი სახელმწიფო ვერტიკალის, ადმინისტრაციული და ჯანდაცვის სისტემების გამართულ მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 15 აპრილს აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მიიღო გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსების შეჩერების შესახებ, რადგან მისი აზრით ეს ორგანიზაცია ვერ

¹ 2020 წლის 17 აპრილს მონაცემებით გერმანიაში დიკეტ მხოლოდარაჩვენებით საჯრო დწესებულებები, გერმანიის ეკონომიკა არგაჩერებულ დ საზოგადოების ორგანიზაციის მაღალ დწისა დ მოწინავე ჯანდაცვის სისტემის პირობებში, კორონავირუსის გავრცელების მიუხედავად პაციენტთა სიკვდილანობა დაბალა. აქვე აღსანიშნავია ქაროველ ექიმების წარმატებულ საქმიანობაც.

გაუმკლავდა კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიას, ვერ გააკეთა მასზე შესაბამი რეაგირება და დროულად არ გააგზავნა ჩინეთში ექსპერტები მდგომარეობის ობიექტურად შესაფასებლად. ასევე არ მოითხოვა საერთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლის შეჩერება. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერესმა გააკრიტიკა ეს გადაწყვეტილება იმის გამო, რომ მისი აზრით, ასეთი მძიმე პანდემიის პირობებში ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის დაფინანსების შეჩერება მიზანშეუწონელია. მიუხედავად გაეროს გენერალური მდივნის კრიტიკული პოზიციისა, მსოფლიოს სხვა ლიდერებმაც აღნიშნეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის აეფექტიანობის შესწავლის აუცილებლობა.

კორონავირუსის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

ახალი კორონავირუსის პანდემია მისი გლობალური ხასიათიდან გამომდინარე მსოფლიოს უბიძგებს გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიმართ უფრო კრიტიკული მიდგომისაკენ. გლობალიზაციის პროცესს, რომელიც ტექნოლოგიური პროცესის თანმხლებია, თან ახლავს ტექნიკური გარღვევები, კაპიტალის მზარდი ნაკადები, ერთიანი საფინანსო და სავაჭრო სისტემების არსებობის აუცილებლობა და მიგრაცია, რამაც კაცობრიობას მისცა როგორც ახალი შესაძლებლობები და უპირატესობები, ისე დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე. ამის პარალელურად გლობალიზაციამ საერთაშორისო საზოგადოების ფოკუსირება მოახდინა ისეთ გამოწვევებზე, როგორცაა სხვადასხვა ქვეყნების არათანაბარი განვითარებისა და სიღარიბის დამღვევის საჭიროება. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი მაგალითია სამხრეთ კორეა და სინგაპური, რომლებიც ფორსირებული განვითარების შედეგად ღარიბი ქვეყნებიდან გადაიქცნენ შეძლებული ქვეყნების კლუბის წევრებად.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში გრძელდებოდა სხვადასხვა ქვეყნების არათანაბარი განვითარების ტრენდი. მიუხედავად მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების გარკვეული შემცირებისა, უთანასწორობის ტრენდი მაინც სტაბილურად ვითარდებოდა. იგივე ეხება ქვეყნებს შიგნით არსებულ განსხვავებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნება ფართო მასშტაბის ეკონომიკურ შოკებსა და ძვრებს, რაც კორონავირუსის პანდემიის მსგავსი მოვლენების თანმდევაა, ასეთი უთანასწორობის დამღვევას დასჭირდება დაახლოებით 100 წელი.

სააგენტო ბლუმბერგის ანგარიშის მიხედვით მსოფლიო ეკონომიკას ახალი კორონავირუსის შედეგად მიადგება 5 ტრილიონი დოლარის ოდენობის ზარალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, კორონავირუსის პანდემია

მსოფლიოში შეამცირებს 95 მილიონ სამუშაო ადგილს და 1.25 მილიარდ ადამიანს შეუმცირებს შემოსავლებს. კორონავირუსის პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა ტურიზმის ინდუსტრიას 2001 წლიდან დღემდე პერიოდში, როდესაც ვარდნა გამოწვეული იყო 11 სექტემბრის ტერაქტით, ომით ერაყში და ატიპიური პნევმონიის „სარსის“ აფეთქებით. მსოფლიოს საქმიანი მოგზაურობის ასოციაციის შეფასებით პანდემიის შედეგად მიღებული დანაკარგები შეიძლება შეადგენდეს 47 მილიარდ დოლარს თვეში. ხოლო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის პროგნოზით, ავიაბილეთების გაყიდვის შემცირებით მიღებული დანაკარგი შეადგენს 30 მილიარდ დოლარს. წარმოდგენაც კი არ შეიძლება, თუ რა მძიმე შედეგები მოყვებოდა პანდემიის დაწყებას ტურისტული სეზონის პერიოდში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის კრისტალინა გიორგიევას განცხადებით, ფონდს კორონავირუსის პანდემიის გამო დახმარებისთვის მიმართა 103-მა ქვეყანამ 189 წევრი ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ G20-ის ქვეყნების ჯგუფმა მხარი დაუჭირა სავალუტო ფონდის კრიზისზე რეაგირების ზომების პაკეტს, რომელიც მოიცავს 1 ტრილიონი დოლარის საკრედიტო პოტენციალს. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა მხარი დაუჭირეს სასესხო გადასახადების შეჩერებას მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ქვეყნებისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ამ ქვეყნებისთვის 2020 წლის ბოლომდე გამოიყოფა 12 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება. ხოლო მსოფლიო ბანკმა უკვე დაამტკიცა 32 ქვეყნისთვის ფინანსური მხარდაჭერის გეგმა.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის პანდემიის შედეგად საერთაშორისო სავალუტო ფონდის 189 წევრიდან 170 ქვეყანაში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შემცირდება. ეს გამოიწვევს დიდი ასიგნებების გაღების საჭიროებას მოქალაქეებისა და ბიზნესის მხარდაჭერისათვის. ამ ზომების შემოღების გარეშე პანდემიის შემდგომი ეკონომიკის აღდგენა კიდევ უფრო რთული იქნება.

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით ვაჭრობა 2020 წელს შემცირდება 13-32%-ის ფარგლებში, რაც გამოწვეულია პანდემიის მიერ ეკონომიკური აქტივობების შეფერხებით მთელ მსოფლიოში. ამასთან, მოსალოდნელია, რომ ვაჭრობის შემცირება უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს, ვიდრე ეს მოხდა 2008-2009 წლებში გლობალური საფინანსო კრიზისის დროს, როდესაც არ იყო დახურული მთელი სექტორები, მრეწველობა, ტრანსპორტი, ავიაგადაზიდვები, მაღაზიები, სასტუმროები, რესტორნები. ოპტიმისტური პროგნოზით ეკონომიკა საკმარისი ინტენსივობით აღდგება 2021 წელს, თუ გლობალური ვაჭრობა მიუახლოვდება ნიშნულს, რომელიც იყო კრიზისამდე. ხოლო პესიმისტური პროგნოზით ეკონომიკის აღდგენა მოხდება მხოლოდ ნაწილობრივ. ჟურნალ

„ეკონომისტის“ შეფასებით კორონავირუსის პანდემიის შედეგად 2020 წელს მშპ აშშ-სა და ევროზონაში შეიძლება შემცირდეს 5-10%-ის ფარგლებში.

2019 წელს მსოფლიო ვაჭრობა შემცირდა ნატურალურ გამოხატულებაში 0.1%-ით, ხოლო დოლარის გამოხატულებაში 3%-ით და შეადგინა 18.89 ტრილიონი დოლარი. ხოლო მომსახურებით ვაჭრობა გაიზარდა 2%-ით და შეადგინა 6.03 ტრილიონი დოლარი. ეს გამოწვეული იყო სავაჭრო დაპირისპირებებით, მათ შორის აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომით და გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით ახალი კორონავირუსის პანდემია გამოიწვევს ბოლო 100 წლის განმავლობაში ყველაზე უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისს. საუკეთესო სცენარით, 2021 წელს მოხდება ეკონომიკის გაჯანსაღება მხოლოდ ნაწილობრივ. შესაბამისად მოსალოდნელია, რომ 2-3 თვის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა დაიწყებს გამოცოცხლებას, რასაც ადასტურებს ჩინეთში მიმდინარე დადებითი ტრენდი. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის გამო მსოფლიოში სუფევს გაურკვევლობა, გლობალური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

მსოფლიო ბანკის შეფასებით კორონავირუსის პანდემია უპირველეს ყოვლისა დაარტყამს მცირე და საშუალო ბიზნესს, რაც გამოიწვევს ზეწოლას როგორც მოთხოვნაზე, ისე ნედლეულის მიწოდებაზე. ეკონომიკური აქტივობებისა და საერთაშორისო გადაადგილების შემცირებასთან ერთად ადგილი აქვს საერთაშორისო გადაზიდვებისა და მგზავრების გადაყვანის შემცირებას. ეს შეეხება ფართო რეგიონს, რომელშიც შედის უკრაინა, ბულგარეთი, უნგრეთი, სერბეთი, პოლონეთი, ბელარუსი, საქართველო, ყაზახეთი.

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) გენერალური დირექტორის რობერტო აზევედოს განცხადებით, კორონავირუსის ახალმა პანდემიამ აიძულა მთავრობები, რომ მიეღოთ უპრეცედენტო ზომები. ვაჭრობასა და წარმოებაში გარდაუვალ დაცემას ექნება მტკივნეული შედეგები როგორც მოსახლეობისათვის, ისე ბიზნესისათვის. შესაბამისად, ჩვენ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ძლიერ, მდგრად და სოციალურად ინკლუზიურ გამოცოცხლებას. ვაჭრობა ამ პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი იქნება ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად.

დღეს აშშ, ჩინეთი და ევროკავშირი ეჯახებიან ერთიან საფრთხეს კორონავირუსის პანდემიის სახით. მიუხედავად ამისა, ეს გამოწვევა არა მარტო არ აერთიანებთ მათ, არამედ ამძაფრებს მათ შორის კონკურენციას, როგორც მსოფლიოს წამყვან 3 ცენტრს შორის. და ეს ხდება მიუხედავად მათ შორის აქტიური და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებისა, რასაც ადასტურებენ შემდეგი მონაცემები:

2019 წელს, ევროკავშირ-ჩინეთის სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 560 მილიარდი ევრო და ევროკავშირის უარყოფითმა სავაჭრო სალდომ ჩინეთთან შეადგინა 164 მილიარდი ევრო. ჩინეთი იყო ევროკავშირის მე-3 პარტნიორი ექსპორტის მიხედვით. მასზე მოდიოდა ევროკავშირის მთლიანი ექსპორტის 9%. იმპორტის მიხედვით ჩინეთი იყო ევროკავშირის პირველი პარტნიორი და მასზე მოდიოდა ევროკავშირის მთლიანი იმპორტის 19%.

2019 წელს, აშშ-ჩინეთის საქონელბრუნვამ შეადგინა 559 მილიარდი დოლარი. აშშ-ს უარყოფითი სალდო იყო 345.6 მილიარდი დოლარი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის სავაჭრო ომის შედეგად აშშ-ს დეფიციტი ჩინეთთან მიმართებაში შემცირდა 73 მილიარდი დოლარით, რაც ადასტურებს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ გატარებული პოლიტიკის პრაგმატულობას.

დღეს ჩინეთში წარმოდგენილია მსოფლიოს და მათ შორის აშშ-ს და ევროკავშირის ყველა წამყვანი მწარმოებელი, მათ შორის მაღალი ტექნოლოგიების, საავტომობილო, სწრაფი კვების, მომსახურების და სხვა დარგებში. ეკონომიკური რეფორმების დაწყების მომენტიდან ჩინეთმა მიიზიდა ინვესტორები აშშ-დან, ევროპიდან და აზიიდან და შექმნა ხელსაყრელი საინვესტიციო და სამეწარმეო გარემო, ქვეყნის აღმოსავლეთში თავისუფალი სავაჭრო და ეკონომიკური ზონების შექმნით. უცხოური ინვესტიციებისათვის ასევე მიმზიდველი აღმოჩნდა ჩინეთში იაფი მუშახელი და უდიდესი შიდა ბაზარი, 1.4 მილიარდი მომხმარებლით, რამაც სტიმული მისცა დასავლური წარმოების გადატანას ჩინეთში. დღეს ჩინეთი მოწინავე ტექნოლოგიური ქვეყანაა და ლიდერია დრონების, რობოტო-ტექნიკის, ხელოვნური ინტელექტისა და G5 სისტემის წარმოებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპული კომპანიების (67%) შეუერთდა ამერიკული კომპანიების (80%) მიერ ჩინური ბაზრის დატოვების ტენდენციას, რაც გამოიწვევს გლობალური მიწოდების ჯაჭვების მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს, მისი მასშტაბიდან გამომდინარე.

კორონავირუსის პანდემიის გამო ეკონომიკის მკვეთრმა შემცირებამ და რუსეთ-საუდის არაბეთის სანავთობო ომმა გამოიწვიეს ენერგომატარებლებზე ფასების რეკორდულად მკვეთრი ვარდნა. ამ მოვლენას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ ნავთობზე და გაზზე ფასების დაცემამ შეიძლება ხელი შეუწყოს მსოფლიო ეკონომიკის გამოცოცხლებას, რადგან ენერგომატარებლებზე დაბალი ფასები ამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და სატრანსპორტო ხარჯებს. მეორეს მხრივ ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნა იწვევს ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ქვეყნების შემოსავლების მკვეთრ შემცირებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე (ჩვენი რეგიონის ეკონომიკის ჩათვლით).

მიუხედავად იმისა, რომ ოპეკის ფარგლებში მოლაპარაკებული იქნა ნავთობის ფასი (საუბარის შემცირებაზე 20 მილიონი ბარელით), რადგან ნავთობზე მოთხოვნა ნაკლებია, მკვეთრად მცირდება ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შემოსავალი, მათ შორის კასპიის ზღვის რეგიონში (რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი). შესაბამისად მცირდება ამ ქვეყნებიდან როგორც საინვესტიციო, ისე ტურისტული პოტენციალი და ფულადი გადმორიცხვები. თუმცა სავარაუდოდ ნავთობის ფასები გარკვეული ხნის შემდეგ მცირედით გაიზრდება, ისინი მაინც დარჩება დაბალ ნიშნულზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები“ მიხედვით, უახლოეს წლებში ფასები ნავთობზე მნიშვნელოვნად არ გაიზრდება და ისინი შეადგენენ 35.61 დოლარს ბარელზე 2020 წელს და 37.87 დოლარს ბარელზე 2021 წელს. მიუხედავად ნავთობზე ოპეკის შეთანხმებისა, ნავთობის ფასი სადღეისოდ მაინც დაბალ ნიშნულზე იქნება. ამის მიზეზია ბაზრის გადატვირთულობა, მაღალი მიწოდებისა და დაბალი მოთხოვნის ფონზე და თითქმის ბოლომდე შევსებული ნავთობის საცავები. ფასების მკვეთრმა დაცემამ ამავე დროს შეუქმნა საფრთხე აშშ-ს ფიქალის ნავთობის მრეწველობას, რამაც აშშ-ს დღევანდელ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს შეიძლება სერიოზული პრობლემა შეუქმნას მომავალ ნოემბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

გარდა ამისა, ანალიტიკოსების აზრით, მსოფლიო ეკონომიკა უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან სწრაფად იზრდებოდა. მას სჭირდებოდა გადატვირთვა, რასაც თავისდაუნებურად ხელი შეუწყო კორონავირუსის პანდემიამ. მთავარია, რომ ეს გადატვირთვა გლობალური ეკონომიკისთვის მოხდეს გრძელვადიან რეცესიაში ჩავარდნის გარეშე.

კორონავირუსის პანდემიის პირობებში, როგორც ქვეყნების მობილიზაციის გამოცდილებამ გვიჩვენა, აქცენტი გაკეთდა ეროვნულობაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე და გარკვეულწილად კარჩაკეტილობაზეც კი, თუმცა ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში დღეს გლობალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია.

კორონავირუსის პანდემიის დასაძლევად წამყვანი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები

კორონავირუსის პანდემიის გლობალური მასშტაბიდან გამომდინარე მსოფლიოს სამმა წამყვანმა ეკონომიკამ - აშშ-მ (მშპ - 20.5 ტრილიონი დოლარი), ევროკავშირმა (მშპ - 18 ტრილიონი დოლარი) და ჩინეთმა (მშპ-14 ტრილიონი დოლარი) დაიწყეს

უპრეცედენტო ზომების მიღება ზიანის შემცირებისა და ეკონომიკის ხელახალი ამუშავებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატები - აშშ-მ პირველად ისტორიაში შემოიღო მასშტაბური უბედურების რეჟიმი ყველა შტატში. განხორციელებული შემზღუდველი ზომების შედეგად, მარტი-აპრილის პერიოდში, აშშ-ში სამუშაო ადგილების დაკარგვის გამო უმუშევრობის შემწეობისთვის მთავრობას მიმართა 22 მილიონმა ადამიანმა. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით აშშ-მ ეკონომიკის პირდაპირი მხარდაჭერის პაკეტის სახით გამოყო 2.2 ტრილიონი აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ქვეყნის მშპ-ს 10.7%-ს. ამ თანხიდან 350 მილიარდი დოლარი განკუთვნილია სესხების უზრუნველსაყოფად, რათა ბანკებმა გააგრძელონ ბიზნესის დაკრედიტება. ამასთან, როგორც აშშ-ს ცენტრალური მთავრობა, ისე შტატების გუბერნატორები ამზადებენ ღონისძიებებს აშშ-ს ეკონომიკის ხელახალი ჩართვისათვის, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ეკონომიკის გაჩერების შედეგად მიღებული დანაკარგები. სარეიტინგო სააგენტოს “S/P global ratings”-ის პროგნოზით, აშშ-ს ეკონომიკის ვარდნა კორონავირუსის პანდემიის გამო 2020 წელს შეადგენს 3.5%-ს და ისინი მსოფლიოში დღეს მიმდინარე ეკონომიკური პროცესებს აფასებენ გლობალურ რეცესიად.

ევროკავშირი - ეკონომიკური ზიანის შემცირების მიზნით **ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების საბჭომ** ამა წლის 9 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება 540 მილიარდი ევროს გამოყოფის შესახებ. აქედან 100 მილიარდი ევრო მიმართული იქნება ევროპული დაზღვევის ფონდში ევროპული კომპანიების მხარდაჭერისაკენ, რათა მათ შეამცირონ სამუშაო დრო და არა სამუშაო ადგილები. „ევროპის სტაბილურობის მექანიზმი“ გამოყოფს 240 მილიარდ ევროს, რისთვისაც შეიქმნება დროებითი ფონდი. გარდა ამისა, ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროპულ კომპანიებს გაუზრდის საინვესტიციო რესურსს 200 მილიარდი ევროს ოდენობით.

მთლიანობაში ევროკავშირის მიერ ანტიკრიზისული პროგრამისათვის გამოყოფილი იქნა უპრეცედენტო დახმარების პაკეტი - 3.2 ტრილიონი ევროს (3.5 ტრილიონი აშშ დოლარი) ოდენობით, რომელიც რამდენჯერმე აღემატება 2008-2009 წლებში მომხდარი გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგების აღმოფხვრის პროგრამის ფარგლებში გაღებულ რესურსებს. ევროკავშირის ეკონომიკური აქტივობა შეიძლება აღდგეს 2021 წელს და მშპ გაიზარდოს 5.6-6.1%-ის ფარგლებში. მაგრამ ეს მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მოხსნაზე, ნედლეულის ფასზე და ევროზონის ზრდის ტემპზე. არსებული პროგნოზებით 2020 წელს ევროკავშირის ეკონომიკა უფრო მეტად შემცირდება ვიდრე აშშ-ს და ჩინეთის ეკონომიკები. გერმანიის კანცლერის ანგელა

მერკელის განცხადებით კორონავირუსის პანდემია ევროკავშირის ეკონომიკას უქმნის მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდ საფრთხეს.

გერმანია - აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის პანდემიასთან გასამკლავებლად გერმანიამ გამოყო 500 მილიარდი ევრო, რაც წარმოადგენს გერმანიის მშპ-ს 14%-ს. ამასთან გერმანია სესხების გარანტირებისათვის დამატებით დახარჯავს 156 მილიარდ ევროს. სააგენტო „როიტერსის“ ინფორმაციით, 2020 წლის პირველ კვარტალში გერმანიის ეკონომიკა, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ყველაზე დიდ ეკონომიკას, შემცირდა 1.9%-ით და მე-2 კვარტალში შემცირდება 8%-ით. შესაბამისად, გერმანიის ეკონომიკა შესულია რეცესიაში.

გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთი პირველი დარგი, რომელზეც ნეგატიურად აისახა კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენა ტრანსპორტის სფეროა. მაგალითისთვის გერმანულმა წამყვანმა ავიაკომპანიამ „Luftganza“-მ შეაჩერა თავისი შვილობილი კომპანიის, დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიის „GermanWings“-ის ოპერირება. გარდა ამისა, ეს ავიაკომპანია აპირებს თავისი მთლიანი ფლოტის მნიშვნელოვან შემცირებას. შესაბამისად, შეზღუდვები დაიწყო არა მარტო სათაო ოფისში, არამედ ყველა შვილობილ კომპანიაში: „Eurovings“, „Austrian airlines“, „Brussels airlines“; „Swiss international airways“.

საფრანგეთი - საფრანგეთის ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, საფრანგეთის მშპ შემცირდა 2019 წლის მე-4 კვარტალში 0.1%-ით. ამიტომ, საფრანგეთი ტექნიკურად იმყოფება რეცესიაში. 2020 წლის პირველ კვარტალში მშპ შემცირდა 6%-ით. სავარაუდოდ 2020 წელს საფრანგეთის მშპ შემცირდება 8 %-ით, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელია 1945 წლიდან. საფრანგეთმა გამოყო 110 მილიარდი ევროს დახმარების პაკეტი კორონავირუსის პანდემიით დაზიანებული ეკონომიკის დასახმარებლად.

იტალიის მიერ გამოყოფილი ანტიკრიზისული პაკეტის ოდენობა შეადგენს 25 მილიარდ ევროს (მშპ-ს 1.4%). **ესპანეთის** მიერ გამოყოფილი ანტიკრიზისული პაკეტი 13.9 მილიარდ ევროს (მშპ-ს 1.2%). **ბელგიის** ანტიკრიზისული პაკეტი 8-10 მილიარდ ევროს (მშპ-ს 2%). ეს მონაცემები აჩვენებენ მიღებული ზომების მასშტაბს ევროკავშირის უმრავლეს ქვეყანებში და ვარირებენ ამ ქვეყნების მშპ-ს 1-2%-ის დიაპაზონის ფარგლებში.

დიდი ბრიტანეთი - დიდმა ბრიტანეთმა კრიზისის დასაძლევად გამოყო 435 მილიარდი ფუნტი, რაც წარმოადგენს მშპ-ს 4.4%-ს. დიდ ბრიტანეთში 2020 წლის იანვარში უმუშევრობა გაიზარდა 3.9%-ით, ხოლო ივნისში გაიზარდება 8%-ით, რაც შეადგენს 1.5 მილიონ სამუშაო ადგილს. კორონავირუსის პანდემია ასევე ზეგავლენას მოახდენს „Brexit“-ის მიმდინარეობაზე. კერძოდ, სადღეისოდ Brexit-ის ვადაა 2020

წლის 1 დეკემბერი, მაგრამ 2020 წლის ივნისამდე მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადება Brexit-ის გადავადების შესახებ, რისი პერსპექტივაც კორონავირუსის პანდემიის გამოწვევიდან გამომდინარე რეალურია და სავარაუდოდ უარყოფითი გავლენა ექნება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის გეგმაზეც, რომ 2020 წლის ბოლომდე ხელი მოაწეროს ევროკავშირთან წინასწარ, თუნდაც „შედარებით ზედაპირულ“ ახალ სავაჭრო შეთანხმებას.

იაპონია - კორონავირუსის პანდემიასთან საბრძოლველად და ანტიკრიზისული ზომებისათვის იაპონიის მთავრობამ გამოყო თითქმის 1 ტრილიონი დოლარი.

ჩინეთი - 2020 წლის 1 კვარტალში ჩინეთის ეკონომიკა შემცირდა 6.8 პროცენტით, პირველად 1992 წლიდან, რაც უდიდეს დარტყმას წარმოადგენს ჩინეთის ეკონომიკისთვის. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ექსპორტის ვარდნამ 2020 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 13.3%, ხოლო იმპორტის ვარდნამ 2.9%. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთის ეკონომიკამ დაიწყო გამოცოცხლება, სავარაუდოდ შემდეგ თვეებში დაიწყება ჩინეთის ეკონომიკის ზრდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასების მიხედვით 2020 წელს ჩინეთის ეკონომიკა გაიზრდება მხოლოდ 1.1%-ით, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო ათწლეულების მანძილზე. 2021 წლის პროგნოზით ზრდა იქნება 9%.

ჩინეთში აღმოცენებულმა კორონავირუსის პანდემიამ დაძაბა ურთიერთობები დასავლეთსა და ჩინეთს შორის და განსაკუთრებით აშშ-ჩინეთს შორის, იმის გათვალისწინებითაც, რომ აშშ ჩინეთს მიიჩნევს სტრატეგიულ საფრთხედ. ამას ადასტურებს აშშ-ს მხრიდან პრეზიდენტ დონალდ ტრამპის, სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს და თავდაცვის მინისტრის მარკ ესპერის განცხადებები, ხოლო ევროკავშირის მხრიდან საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის შესაბამისი განცხადებები, რომლებიც ადანაშაულებენ ჩინეთს კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის დაფარვასა და გვიან შეტყობინებაში. ამასთან, მათ მოითხოვეს საერთაშორისო გამოძიება ჩინეთის შესაძლო ბრალეულობის დადგენის მიზნით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც განზრახვი, ისე გაუფრთხილებელი.

რუსეთი - **სააგენტო ბლუმბერგის** მონაცემებით რუსეთს ემუქრება ღრმა რეცესია. იმ დროს, როცა მსოფლიოს სხვა ქვეყნები იყენებენ მნიშვნელოვან რესურსებს ეკონომიკის მხარდასაჭერად, რუსეთი ცდილობს არ დახარჯოს თავისი სავალუტო რეზერვები. ამის ერთ-ერთ გამოწვევს მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ ნავთობზე ფასები უფრო მეტად დაეცა ვიდრე რუსეთს ოდესმე წარმოედგინა. ფასები ასევე დაეცა ბუნებრივ აირზეც (დღეისათვის 1 კუბურ მეტრ გაზზე ფასი შეადგენს 80 დოლარს), ხოლო **გაზპრომი-ს** 2020 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 1 კუბურ მეტრზე 200

დოლარი) რაც ნავთობთან ერთად წარმოადგენს რუსეთის მთავარ სტრატეგიულ საექსპორტო პროდუქციას. აღნიშნულის შედეგად ადგილი ექნება ღრმა რეცესიას და ეკონომიკის აღდგენაც მოხდება უფრო ნელი ტემპით.

დღეისათვის რუსეთის ცენტრალური ბანკის ოქროსა და ვალუტის რეზერვები შეადგენს 550 მილიარდ დოლარს. გარდა ამისა ეროვნული კეთილდღეობის ფონდში მობილიზებულია 124 მილიარდი დოლარი. ამასთან, კორონავირუსის პანდემიასთან საბრძოლველად და რუბლის მხარდასაჭერად რუსეთი ხარჯავს თავისი მშპ-ს მხოლოდ 2%-ს, მაშინ როცა 2008-2009 წლების საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად რუსეთმა დახარჯა მშპ-ს 10%, მაგრამ შეძლო რეზერვების სწრაფად აღდგენა, იმ დროს ენერგომატარებლებზე მაღალი ფასების გამო. ამ ეტაპზე რუსეთს უწევს კრიზისთან გამკლავება ნავთობზე და გაზზე ყველაზე დაბალი ფასების პირობებში. ამიტომ, მას სჭირდება რეზერვების ფრთხილად ხარჯვა (2020 წელს რუსეთის მშპ შეადგენდა 5.5 ტრილიონ დოლარს).

საექსპორტო წრეების ვარაუდით მიმდინარე კორონავირუსის პანდემია და ენერგომატარებლებზე ფასების მკვეთრი დაცემა შეიძლება გამოყენებული იქნას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინზე ზეწოლის განსახორციელებლად, რათა რუსეთი აიძულონ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, როგორცაა მაგალითად უკრაინის ოკუპაციის შეწყვეტა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ყოფილმა ელჩებმა უკრაინაში გამოთქვეს მოსაზრება, რომ მსოფლიო ეკონომიკის რეცესია და ნავთობის გაიაფება ურტყამს კრემლს და უბიძგებს მას მეტი დათმობებისკენ. მათ შორის შესაძლებელია, რომ კრემლმა სანქციების სანაცვლოდ შეწყვიტოს ერთადერთი ცხელი ომი ევროპაში და საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფა.

დღეს რუსეთი წინაშე მდგარი მრავალრიცხოვანი გამოწვევები: მწვავედ მიმდინარე კორონავირუსის პანდემია, სანქციები, ენერგომატარებლებზე და განსაკუთრებით ნავთობზე ფასების რეკორდული დაცემა (ბიუჯეტში ჩადებული იყო ბარელზე 42 დოლარი), სანქციები, საომარი მოქმედებები უკრაინასა და სირიაში, ეკონომიკური ვარდნა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დნესტრისპირეთში სამხედრო ბაზებისა და მოსახლეობის შენახვის ხარჯები, ხელს შეუშლის რუსეთს რევანშისტული განზრახვების რეალიზაციაში და გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელებაში.

კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

საქართველო მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყანაა, რის გამოც ის მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საგარეო ბაზარებზე და მსოფლიოში პანდემიის დასრულებაზე, რამაც გამოიწვია საქართველოსთვის რიგი პროდუქციის მიწოდების შეფერხება. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 12.8 მილიარდი დოლარი. აქედან ექსპორტი შეადგენდა 3.7 მილიარდ დოლარს, ხოლო იმპორტი 9.1 მილიარდ დოლარს და საქართველოს უარყოფითი სალდო შეადგენდა - 5.2 მილიარდ დოლარს, რაც მნიშვნელოვან დისბალანსს იწვევს ვაჭრობაში.

ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერების მიზნით საქართველომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოქმედი და ახალი წარმოებების მხარდაჭერა და განვითარება, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს იმპორტის ნაწილობრივ ჩანაცვლებას და მეორეს მხრივ გაზრდის ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობებს, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, ჩინეთთან, თურქეთთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან. ასევე უნდა დაჩქარდეს ანალოგიური ხელშეკრულებების დადება აშშ-სთან, ინდოეთთან და სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან.

მოწყვლადი და მცირე ზომის ეკონომიკის პირობებში საქართველოსთვის უაღრესად რთული იქნება საგარეო და საშინაო ეკონომიკურ შოკებთან გამკლავება საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებისა და პარტნიორების დახმარების გარეშე. შესაბამისად, საქართველომ მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნოს საკუთარი ადგილი გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში და გაამყაროს მისი საინვესტიციო და ბიზნეს მიმზიდველობა.

კორონავირუსის პანდემიამ გააუარესა საინვესტიციო გარემო მთელ რიგ ქვეყნებსა და რეგიონებში, რამაც გამოიწვია ინვესტიციების გადინება ამ ქვეყნებიდან. საქართველომ უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და მოიზიდოს ასეთი, ახლად „გამოთავისუფლებული“ ინვესტიციები, შესაბამისი ეკონომიკური მიმზიდველობის პაკეტის შეთავაზებით.

ჩინეთის ბაზრიდან ამერიკული და ევროპული კომპანიების მფლობელობაში მყოფი საწარმოების მასიური გადატანის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და სხვა რეგიონებში, რაც გამოწვეულია ჩინეთსა და დასავლეთს შორის კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული დაპირისპირებით და ჩინეთის წარმოებაზე დამოკიდებულების შემცირების სურვილით, საქართველომ უნდა გაწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა, რომ რიგი ასეთი საწარმოებისა გადმოტანილ იქნას ჩვენს ქვეყანაში.

მსოფლიო გლობალიზაციის და მწვავე კონკურენციის პირობებში საქართველომ უნდა განავითაროს მაღალტექნოლოგიური წარმოების დარგები და უნდა გადაიქცეს ასეთი წარმოებების ჰაბად რეგიონში, რისთვისაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი კადრების მომზადება.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური რეცესიის, ტურიზმისა და სატრანსპორტო გადაზიდვების მიმდინარე შემცირების მიუხედავად, საქართველომ უნდა გააგრძელოს ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე უარყოფითი ტენდენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზეც. ამიტომ, საჭიროა შემუშავდეს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად შესაბამისი ეკონომიკური განვითარების პროგრამა და განისაზღვროს პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის სწრაფ აღდგენას.

ამ მიზნით შესწავლილი უნდა იყოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უკვე მოქმედი ანტიკრიზისული პროგრამები, მათი გამოყენების მიზნით. გარდა ამისა უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი ანტიკრიზისული ჯგუფი, რომელიც სწორად გათვლის რისკებს და შესაძლებლობებს, რათა გაუმკლავდეს გლობალურ ეკონომიკაში არსებულ მასშტაბურ კრიზისს და ეს კრიზისი საქართველოსთვის იქცეს შესაძლებლობად, რომ გახდეს უფრო წარმატებული და კონკურენტუნარიანი ქვეყანა.